16/09/2025

MES 9 25 0001154033

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 02.09.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:30
სხდომის დასრულების დრო: 17:17
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;

5. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
6. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
9. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
10. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. **მზია წიკლაური** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
12. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
13. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
14. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს “ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი

- თეა მიქელაძე-რექტორი
- გიორგი ცხვედიანი-ვიცე-რექტორი
- ანი ქვათაძე-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

- ირინა გორგილაძე - მმართველობის სკოლის დეკანი
- ნანა მაჭარაშვილი - მმართველობის საბაკალავრო და გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი
- კახა არცივაძე - გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

- გვანცა ბესელია - მმართველობის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი
- ვანო ცერცვაძე - ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი
- გიორგი თურქია - ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი
- მერაბ გოცირიძე - ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი
- დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- ნიკა გიგაური - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
- მარიამ კეკელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი
- ლუკა ბერაია - ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

- არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- თინათინ ღუდუშაური - პროფესორი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი
- ცირა ჩიკვაიძე - ისტორიის პროგრამის ხელმძღვანელი
- ლელი ბიბილაშვილი - ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ინგა ხალვაში - პროგრამის ხელმძღვანელი, ბხსუ-ს რექტორის მოადგილე PhD;
- ქეთევან ვაჩეიშვილი - ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- მაია ჭიჭილეიშვილი - სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- სოფიო თავაძე - განათლების, ჰუმანიტერულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- ჰითკლიფ სქემბრი
- რევაზ ტაბატაძე
- თინათინ გაბრიჩიძე
- თამარ თხელიძე
- აბდულ რაუფი
- ეკატერინე ზაქარაძე
- ეკა ლეკაშვილი
- თამთა ლეკიშვილი
- მაია აზმაიფარაშვილი,
- ია ნაცვლიშვილი
- გიგა თვაური
- *მერაბი ჭუმბურიძე*
- *თინათინ გაბრიჩიძე*
- *ნინო გელოვანი*

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "მმართველობის" და "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო და "გარემოს დაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის შესახებ;
2. შპს “ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
7. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღისწესრიგისცვლილებასთანდაკავშირებით

- კი

ანი ბილანიშვილმა საბჭოს გააცნო შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც პირველ საკითხად ითხოვდა განხილულიყო შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითის საკითხი, საერთაშორისო ექსპერტის განხილვაში მონაწილეობის საჭიროებიდან გამომდინარე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს “ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;

2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "მმართველობის" და "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო და "გარემოს დაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის შესახებ;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
7. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:**

შპს “ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ჰითკლიფ სქემბრიმ პირველი სტანდარტის მეორე ქვესტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩაერთოს ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე და ეს შედეგები გასაგებად და სრულად მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს. 1.4 რეკომენდაციის თანახმად უნდა გადაიხედოს არჩევითი კურსების

ბლოკი და შეფასდეს მინიჭებული კრედიტების შესაბამისობა. ასევე, ამ ქვესტანდარტთან მიმართებით რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კურიკულუმის მოდულური სტრუქტურა. 1.5 ქვესტანდარტშიც გაიცა 2 რეკომენდაცია. პირველი მათგანი დაკავშირებულია კურსებთან და რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს კურსების „კურიკულუმის შემუშავება და განვითარება“ და „განათლების ხარისხის უზრუნველყოფა“ მიზნები, შინაარსი და მიღწევადობა. ხოლო მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსებსა და ლიტერატურას. აქ რეკომენდებულია, განახლდეს ლიტერატურა და გამოყენებული ლიტერატურის სიის გამდიდრება, საჭიროების შემთხვევაში. მეორე სტანდარტთან მიმართებით არგუმენტირებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ რეკომენდაციების ნაწილი რჩევებში გადავიდა და ძალაში დარჩა 4 რეკომენდაცია. 2.1 ქვესტანდარტის მიხედვით რეკომენდებულია, რომ პროგრამების მიღების წინაპირობებში დეტალურად განისაზღვროს საკითხები და ძირითადი კითხვების სია.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა დეტალური რუბრიკის შემუშავებას პორტფოლიოსთვის. 2.2 ქვესტანდარტში რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააფართოოს პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს წვდომა ამ პროექტებზე. ასევე, შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით უნივერსიტეტმა სტუდენტებს უნდა შეუწყოს ხელი საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებაში და დაუჭიროს მათ მხარი.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მესამე სტანდარტთან მიმართებით უნივერსიტეტს საკმაოდ კარგი შეფასება ჰქონდა. გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომლის მიხედვით რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მკაფიო მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების შესაბამის თანაფარდობას. რაც შეეხება მეოთხე სტანდარტს, ყველაზე მეტი რეკომენდაცია სწორედ ამ სტანდარტთან მიმარებით გაიცა, თუმცა უნივერსიტეტს აქვს უნარი და, რაც მთავარია, სურვილი ამ ყოველივეს გაუმჯობესებისა. 4.1 სტანდარში გაიცა 2 რეკომენდაცია. პირველის მიხედვით რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს როგორც აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეულის რაოდენობა, რომლებსაც აქვთ დოქტორის ხარისხი. და ასევე, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კვალიფიციური აკადემიური კადრების შენარჩუნების ხერხები. 4.2 ქვესტანდარტში გვაქვს მოცემული 3 რეკომენდაცია. პირველ რიგში, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პოტენციური ხელმძღვანელების აკადემიური კვალიფიკაცია და კვლევითი გამოცდილება შეესაბამებოდეს პროგრამის კონკრეტულ მიმართულებას - განათლების ადმინისტრირებას.
შემდეგი რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელობის უფლების მიღების პირობებს. მეოთხე სტანდარტის ბოლო რეკომენდაცია ეხება იმას, რომ უნივერსიტეტმა დანერგოს სავალდებულო ტრენინგი, ანუ ჰქონდეს საორიენტაციო პროგრამა ხელმძღვანელთათვის. 4.3 ქვესტანდარტში რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა დანერგოს პროგრამაზე მორგებული განვითარების გეგმა, რომელიც იქნება სტრუქტურირებული ამ სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის. ამავე ქვესტანდარტის შემდეგი რეკომენდაცია მოიცავს იმას, რომ გაიწეროს და ფუნქციურად ამოქმედდეს ურთერთშეფასების ან დაკვირვების მექანიზმები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ნაკლები გამოცდილების მქონე ლექტორებისთვის, რომლებიც საკმაოდ ბევრნი არიან. 4.4 ქვესტანდარტში რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კომპლექსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კვლევით მხარდაჭერას. ასევე, ეს ეხება კამპუსში რესურსების რაოდენობას, მეტ ლიტერატურას და ა.შ. რათა სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა ბაზაზე. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით უნივერსიტეტმა უნდა აკონტროლოს პროგრამის ფინანსური განხორციელება. ამასთან, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყოველწლიურად შეიმუშაოს პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შეფასების მექანიზმი. ბოლო რეკომენდაცია კი ეხება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებას სამაგისტრო პროგრამების გაძლიერების მიზნით. ეს გულისხმობს პერსონალის კვლევითი შეფასების მექანიზმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციებს და ბიბლიოთეკისა თუ პრაქტიკული ბაზების გაფართოების საკითხზე გაცემულ რეკომენდაციებს ელოდნენ კიდეც. ინსტიტუციას, პირველ რიგში, სურდა პარტნიორების გაფართოება ისეთი სახელმწიფო ინსტიტუციებით, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებოდნენ ინტენსიური თანამშრომლობით და, რომელთა მიზნებიც შესაბამისობაში მოვიდოდა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიზნებთან. დაწესებულება ეთანხმება იმ რეკომენდაციებსაც, რომლებიც გაიცა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დატვირთვის, მომზადებისა თუ საკვალიფიკაციო სტანდარტის შესახებ. ასევე, იზიარებს ტრენინგებსა და საორიენტაციო პროგრამებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებსაც. ამასთან მიმართებით ხაზი გაესვა იმასაც, რომ გარკვეული ღონისძიებები უკვე განხორციელებული აქვს დაწესებულებას, გამოცხადდა კვლევითი საგრანტო კონკურსიც, რომელზეც 2 დიდი საგრანტო პროექტი განხორციელდება მომავალი წლის განმავლობაში.

არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ყველა არჩევითი საგანი არის 4 კრედიტიანი და ჯამში 4 არჩევით საგანს გაივლის სამაგისტრო პროგრამის განმავლობაში სტუდენტი. ამის უნიფიცირების იდეა იყო სასწავლო კურსებს შორის ე.წ. კანიბალიზმის შემთხვევა. მეორე მხრივ, განსხვავება ამ სასწავლო კურსებს შორის არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ საკონტაქტო თუ დამოუკიდებელ საათებს შორის აშკარა დისონანსი იყოს. ამასთან, ასეთი მიდგომა არ არის უცხო ქართული საგანმანათლებლო პრაქტიკისთვის, მათ შორის, განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე.

პროგრამის მოდულარულ დიზაინთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე აღინიშნა, რომ ორივე მიდგომა არის მისაღები და დასაშვები საქართველოში. უნივერსიტეტმა აირჩია ის მიდგომა, სადაც ყველა საგანმანათლებლო საფეხურის სპეციფიკაა გაერთიანებული პროგრამაში, რადგან განათლების სფეროს ერთიანობაში გაგებაც მნიშვნელოვანი კომპეტენციაა. ამიტომ დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს უფრო რჩევაა ვიდრე რეკომენდაცია. ასევე, დაწესებულებამ თხოვნით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს საუნივერსიტეტო სამაგისტრო მისაღები გამოცდისთვის სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის საიტზე განთავსებაზე, რაზეც ვერ შეთანხმდნენ. სამაგისტრო გამოცდის კონცეფცია ინსტიტუციაში არის პორტფოლიოს შეფასება ან გასაუბრება და ინგლისურის ტესტი. შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტი იყო მაგისტრანტის მხრიდან პრობლემის ხედვა, იდენტიფიცირება, დამოუკიდებელი აზროვნება, პირველადი იდეები, რომლის განვითარებაშიც უნივერსიტეტი და პროგრამა შეუწყობს ხელს.

პროგრამაში დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის გაზრდის რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღინიშნა, რომ საქართველოში არ არის წარმოდგენილი ცალკე განათლების მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამები. აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია, რომ განათლების ადმინისტრირება არის ინტერდისციპლინარული პროგრამა. ამ პროგრამაში ხდება სხვადასხვა დისციპლინის კომბინირება. ასევე, არის საგნები, რომლებიც მოითხოვენ პრაქტიკული ცოდნის ტრანსფერს სტუდენტებთან. აქედან გამომდინარე, განათლების რეგულირებაში იურისტის ყოლა, რომელიც სადოქტოროზე და განათლების საკითხებზე მუშაობს, უფრო ლოგიკური იყო დაწესებულებისთვის, ვიდრე განათლების ან მეცნიერებების დოქტორის ყოლა, რომლის მიმართულებებიც მეტწილად პედაგოგიკის კუთხით მიდის. თუ ეს რეკომენდაცია ძალაში დარჩება უნივერსიტეტი მზადაა თანახელმძღვანელად ჩაუსვას სტუდენტს დოქტორის ხარისხის მქონე ლექტორები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით. რაოდენობრივ მაჩვენებელში მითითებულია, რომ 5 აკადემიური პერსონალია ჩართული და აქედან 1 არის პროფესორი. მას აინტერესებდა ინსტიტუციის მიდგომა თუ ამასთან დაკავშირებით რა იგეგმებოდა. მას ასევე აინტერესებდა ადგილობრივ ბაზართან ერთად თუ იყო შესწავლილი საერთაშორისო ანალოგები ადმინისტრირების კუთხით.

ანი ქვათაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავს 12 აკადემიური პერსონალი ჯამში და აქედან არის 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი, 3 ასისტენტი და მოწვეული პერსონალის რაოდენობა 18-ს აღწევს, ანუ ჯამში 30 პერსონალი განახორციელებს ამ პროგრამას და ისინი პროგრამის შემუშავებაშიც იყვნენ ჩართულნი. ამასთან პროგრამის ჩამოყალიბების პროცესში ინსტიტუციამ მოამზადა დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა როგორც ადგილობრივი უნივერსიტეტების, ისე საერთაშორისო უნივერსიტეტების შედარებას.

გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ დოქტორის ხარისხის არქონის მიუხედავად არიან ლექტორები, რომლებმაც განათლების ტექნოლოგიები ისწავლეს საზღვარგარეთ, აქედან გამომდინარე, მათი გამოცდილებაც არაპირდაპირი ინტერნაციონალიზაცია იყო ამ პროგრამისთვის.

ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს სამაგისტრო პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით. რადგან საკმაოდ დაწვრილებით არის გაწერილი მიღების წინაპირობები და რუბრიკები ვერ ჩაიწერებოდა ამ დოკუმენტში, მაშასადამე, მას აინტერესებდა რატომ გაიცა ეს რეკომენდაცია.

ჰითკლიმბ სქემბრიმ აღნიშნა, რომ არ იყო ეს წინაპირობები ნათლად მოცემული ისე, როგორც იყო სხვები.

ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ გასაუბრების დროს პროფესორებმა აღნიშნეს, რომ რეალურად არ აპირებდნენ ძირითადი ხელმძღვანელის როლის შესრულებას, რადგან დარგში არასაკმარისი ექსპერტიზა აქვთ. მას აინტერესებდა რა ხედვა ჰქონდა ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას.

გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ ეს შეიძლება მოხდეს თანახელმძღვანელობის საფუძველზე. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პირი, ხოლო თანახელმძღვანელი, უშუალოდ, ორიენტირებული იქნება საკითხის რელევანტურობაზე, მისი დარგობრივი ცოდნიდან გამომდინარე.

ვლადიმერ ადეიშვილმა აღნიშნა, რომ არჩევით სასწავლო კურსებში არის „პრაქტიკა საგანმანათლებლო ინსტიტუციაში“, რომელიც არის 8 კრედიტიანი. მას აინტერესებდა თავად კურსი იყო არჩევითი თუ კურსში ირჩევს რომელი დაწესებულებაში წავა. ასევე ხაზი გაესვა დაწესებულებაში არსებულ სამაგისტრო პროექტსა და თეზის, მას აინტერესებდა ამ დაწესებულების საფუძველზე, რომელსაც თვითონ სტუდენტი ირჩევს, აკეთებდა შემდგომ კვლევას თუ როგორ მუშაობდა ეს მექანიზმი.

გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში გათვალისწინებულია, როგორც სავალდებულო, უბრალოდ სახელი აქვს სამაგისტრო პროექტის, რადგან კონცეპტუალურად სტუდენტი პირველი წლის დაგროვებულ ცოდნას შეამოწმებს პრაქტიკაში საკონსულტაციო პროექტის საშუალებით. პრაქტიკა საგანმანათლებლო დაწესებულებაში უფრო მარტივია, რადგან ეს არის, ფაქტობრივად, სტაჟირება, რომელსაც სტუდენტი გადის ორივე ნახევარი. თუმცა შესაძლოა დაწესებულებაში მოვიდეს ადამიანი, რომლისთვისაც ეს საინტერესო არ იქნება, ამიტომ დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ საწყისი პრაქტიკა, რომელიც უბრალოდ ოპერაციულ დონეზე ინსტიტუციის ფუნქციების შესრულებაა, გადაეტანათ არჩევითში და ვისაც აინტერესებს პირველი გამოცდილების მიღება, ის ამას მიიღებს.

ნარგული ასანიძემ არჩევით ბლოკთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა არჩევით საგნებში მინიჭებული 4 კრედიტი რით იყო განპირობებული და მათ შორის არსებობდა თუ არა კრიტიკული განსხვავება.

გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ კრიტიკული განსხვავება არ არსებობს და დაწესებულებას არ უნდოდა კანიბალიზმი, რადგან მეორე და მესამე სემესტრში 8 კრედიტი არის განსაზღვრული

არჩევითი კომპონენტისთვის. შესაბამისად, თუ სტუდენტი არ აიღებს პრაქტიკას შეუძლია 4 საგანი აიღოს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:40
დასრულების დრო: 14:22
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 სექტემბრამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 2 სექტემბერს.

2. მეორე საკითხი:
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "მმართველობის" და "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო და "გარემოს დაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება გააკეთა ნათია იორდანიშვილმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აბდულ რაუფმა აღნიშნა, რომ პირველი ვიზიტი დაწესებულებაში შედგა მაისში, სადაც შეფასდა ჯიპას უნივერსიტეტი. კლასტერისთვის გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია, სტუდენტთა ცნობიერების გაზრდა პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის მუშაობის შესახებ. სევე, ერთი რეკომენდაცია გაიცა ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამისთვისაც. ეს რეკომენდაცია ეხება პირველი სტანდარტის მეხუთე ქვესტანდარტს, სადაც რეკომენდებულია, კურსის სილაბუსების განახლება უფრო ახალი და შესაბამისი ლიტერატურით, წყაროს მითითების სტილის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა და საკითხავი მასალების შესაბამისობაში მოყვანა კურსის მიზნებთან და დარგის მიმდინარე განვითარებასთან. გარემოს დაცვის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით პირველი რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგებს. რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირის გაუმჯობესება. ასევე, რეკომენდებულია სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების განაწილების გადახედვა. რამდენად რეალისტურია ხარისხიანი სწავლის შედეგების მიღწევა შემდეგ საგნებში: „სტრატეგიული მართვა-პოლიტიკის დაგეგმვა, კოორდინაცია და შესრულების მენეჯმენტი“; „გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტები: გარემოზე ზემოქმედების შეფასება“.
ამასთან, რეკომენდებულია სტუდენტებისთვის „პროფესიული პრაქტიკის“ კურსის შეთავაზება პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად. ბოლო რეკომენდაცია მდგომარეობს შემდეგში, რომ რეკომენდებულია პრაქტიკის ბაზების გაფართოება და მემორანდუმების განახლება სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო შესაძლებლობები პრაქტიკული სწავლებისთვის. საველე პრაქტიკის კურსში საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე საველე სამუშაოების ინტეგრირება და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან სტრუქტურირებული თანამშრომლობის ჩამოყალიბება. ეს იყო ექპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ხუთივე სტანდარტს ეხებოდა, ამასთან მათ წარადგინეს რჩევებიც. ექპერტების დასკვნა არის ის, რომ ეს პროგრამები ხუთივე სტანდარტთან არის შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნანი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს კლასტერულ რეკომენდაციას, რომელიც რეალურად არის ტურნიტინის პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლება. გარემოს დაცვის პროგრამასთან გაცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ კურსი იძლევა სრულ შესაბამისობას სწავლის შედეგთან, რადგან კურსის განმავლობაში გარემოს დაცვითი მონიტორინგის და აუდიტის კუთხით მუშაობა გამუდმებით მიმდინარეობს გეგმებსა და მის ანგარიშგებაზე. მეორე რეკომენდაციაში საუბარია 10 კრედიტიან 2 კურსზე. ზოგადად ქართულ სივრცეში კრედიტული დატვირთვა არის თანაბარი, თუმცა დაწესებულებას არ აქვს მსგავსად. ეს ორი კურსი იმიტომ არის 10 კრედიტიანი, რომ საკმაოდ დიდი რესურსი მოდის პრაქტიკულ მუშაობაზე. ასევე, რეკომენდაციებში მოცემულია, რომ პრაქტიკის კურსი დანერგოს დაწესებულებამ. საქმე ისაა, რომ გარემოს დაცვითი პროგრამა, რომელიც წარმოდგენილია 2016 წელს შექმნილი გარემოს დაცვის სოფლისა და მეურნეობის სამინისტროსთან ასოცირებული პროგრამის გაგრძელებაა, რომელიც იძლევა კარგ რესურსს და დასაქმების საკმაოდ მაღალი

მაჩვენებლები აქვს და, რაც მთავარია, სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია. სწორედ ამიტომ დაწესებულება არ ემხრობა პრაქტიკის კურსის შემოტანას, რადგან ეს იქნება ხელოვნური.
ნიკა გიგაურმა აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის მენეჯმენტის შემთხვევაში არსებობს დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს სავალდებულო მოთხოვნებს პროგრამებისთვის და მის მიხედვით პრაქტიკა, როგორც სასწავლო კურსი სავალდებულო არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას მარკეტინგის პროგრამასთან მიმართებით. მან აღნიშნა, რიმ სწავლის შედეგების მექანიზმებთან დაკავშირებით არის 95-100 პროცენტიანი სამიზნე ნიშნული აღებული. მას აინტერესებდა რამ განაპირობა ეს მკაცრი მიდგომა.
ნიკა გიგაურმა განმარტა, რომ პროგრამა არის ახალი, თუმცა სამიზნე ნიშნულების დადგენის ნაწილში დაწესებულებამ იხელმძღვანელა იმ გამოცდილებით, რაც აქვს ბიზნეს-ადმინისტრირების პროგრამიდან, სადაც საკმაოდ მაღალი სტანდარტი აქვს მოთხოვნების. თუ სტუდენტმა კონკრეტული საკითხი დაბალ დონეზე იცის, მაშინ ბაკალავრის ხარისხზე შეუძლებელია გავიდეს.
გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ გარკვეული გამოცდილება დაგროვილი აქვს გუნდს და ეს პროცენტები განსაზღვრავს თუ რამდენი სტუდენტი დაასრულებს ამ კურსს წარმატებით. აღნიშნული პროგრამა სამი კომპონენტით შეიძლება დაიყოს, ეს არის ბიზნესის კომპონენტი, ციფრული მარკეტინგის კომპონენტი და კვლევის კომპონენტი.
ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას ანტიპლაგიატთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა ამ საკითხთან მიმართებით რა სიხშირით ტარდება შეხვედრები სტუდენტებთან, ვინ ატარებს მათ და ბოლოს როდის ჩატარდა.
ნიკა გიგაურმა განმარტა, რომ როდესაც დაწესებულება იღებს ახალ სტუდენტებს ისინი ეცნობიან ჯიპას შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს. არის გაცნობითი შეხვედრა და პირველად სწორედ ამ შეხვედრებზე იღებენ ინფორმაციას ანტიპლაგიატის შესახებ. ასევე ლექტორებიც აცნობენ ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ, აძლევენ დავალებებს და ხდება შემოწმება პროგრამაშიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:54
დასრულების დრო: 15:24
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2032 წლის 01 მარტამდე;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "მმართველობის" საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 2 სექტემბერს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2032 წლის 01 მარტამდე ;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ციფრულის მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 2 სექტემბერს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "გარემოს დაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2032 წლის 01 მარტამდე ;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "გარემოს დაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 2 სექტემბერს.

3. მესამე საკითხი:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
4. **მეოთხე საკითხი:**
შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე და მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა იქნა შესწავლილი წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, იქნა განხილული პირველი, მეორე და მეოხე სტანდარტი და ამის შემდეგ გაიცა რეკომენდაციები ორივე პროგრამის მიმართ. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაიცა 2 რეკომენდაცია და 9 რჩევა, ხოლო ისტორიის პროგრამაზე - 1 რეკომენდაცია და 2 რჩევა. არქეოლოგიის პროგრამაზე პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მოდიფიცირებას, სადაც უნდა აღნიშნულიყო სწავლის შედეგების მიღწევის დონე, განსაზღვრულიყო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე და განსაზღვრულიყო სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები. ხოლო მეორე რეკომენდაცია იყო, რომ საბაკალავრო სწავლების დებულების საფუძველზე მომზადებულიყო საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი.
  რაც შეეხება ისტორიის საბაკალავრო პროგრამას - რეკომენდირებულია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა, აღინიშნოს სწავლის შედეგების მიღწევის დონე, ასევე, შემუშავდეს

შეფასების სამიზნე ნიშნულები და განისაზღვროს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები. უნივერსიტეტმა განიხილა ექსპერტთა შეფასება, არქეოლოგიის პროგრამაზე განხორციელდა სწავლის შედეგების რუკის მოდიფიცირება, ხოლო მეორე რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული. ისტორიის პროგრამაზე რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

თინა ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ არქეოლოგიის პროგრამაზე პირველი რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ. ხოლო, რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, უნივერსიტეტის დებულების მიხედვით ძალიან დეტალურად არის გაწერილი ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს ყველა იმ საფეხურს, რომელიც საბაკალავრო ნაშრომის მომზადების დროს შეიძლება იქნეს გათვალისწინებული. ეს ინსტრუქცია გადაეცემათ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელებს. ასევე, გათვალისწინებულია რჩევებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარდა სილაბუსისა არის დებულება, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ყველაფერი საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით. ხოლო სილაბუსში გადმოცემულია ის და ყოველისმომცველი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისტორიის პროგრამაზე გაცემული პირველი რჩევა გაზიარებულია და უკვე შესულია ცვლილებებიც. ხოლო მეორე რჩევა, რაც არ გაიზიარა დაწესებულებამ, ფაქტობრივად, იმეორებს წინა პროგრამის რეკომენდაციას და ინსტიტუციას ამ შემთხვევაშიც იგივე პოზიცია აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა გაეცნო თუ არა საბაკალავრო დებულებას ექპერტთა გუნდი, რომელიც ინსტიტუციამ აღნიშნა.

მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ ამ დებულებას გაეცნო ექსპერტების გუნდი და საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი ყველა პროცედურა. საქმე იმაშია, რომ ეს რეკომენდაცია ისტორიის პროგრამაში გაცემულია რჩევის სახით, რადგან ამ პროგრამაზე საბაკალავრო ნაშრომი არის არჩევითი. ხოლო არქეოლოგიის პროგრამაში ნაშრომი ჩასმულია ძირითად ბადეში. რეკომენდაციის გაცემა განაპირობა იმან, რომ სილაბუსში, თუნდაც ზოგადი სახით, არ არის შეტანილი სწავლის შედეგები.

ირინა ლობჟანიძემ ექსპერტებს მიმართა კითხვით. გაცემულია 2 რჩევა ერთ შემთხვევაში, სასურველია პროგრამის მიზანში კონკრეტულად აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს ცოდნა და უნარები, მეორე - სასურველია, უფრო უკეთ გამოიკვეთოს კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და მიზნებს შორის. მას აინტერესებდა რა იყო ასეთი რჩევების გაცემის საფუძველი.

მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ არქეოლოგიის პროგრამაში მიზნები არის საკმაოდ კომპაქტური და ზოგადი, ამიტომ ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ თუ მასში ცოტა მეტი ინფორმაცია იქნება მოცემული სწავლის შედეგებთან მიმართებით კარგი იქნებოდა, საერთო ჯამში პროგრამა გამართულია და აქედან გამომდინარე ექსპერტების საბოლოო ვერდიქტი, რომ სრულ შესაბამისობაშია პროგრამა სტანდარტთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როცა უნივერსიტეტი სტუდენტთან ხელშეკრულებას დებს ის აცნობს ყველა იმ საჭირო ინფორმაციას, რაც აუცილებელია იცოდეს სტუდენტმა. შესაბამისად, გაწერილია თემატიკები, რომლებსაც ეცნობა დაინტერესებული სტუდენტი, თუმცა არსებობს კურსები, სადაც ამ თემატიკების პროგნოზირება და გაწერა შეუძლებელია. ასეთია სწორედ საბაკალავრო ნაშრომი. რაც შეეხება სწავლის შედეგების შეფასებას, საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის შედეგები სრულიად დიგიტალიზებულია. რაც გულისხმობს იმას, რომ ფინალური გამოცდები დაკავშირებულია კონკრეტული საკითხის შედეგებთან. ამასთან ყველა გამოცდა, პრაქტიკულების გარდა, ტარდება კომპიუტერთან, ამ გამოცდის ქულის შესაბამისად ხდება გენერირება თუ როგორ გავიდა სტუდენტი შედეგზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:38
დასრულების დრო: 16:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულ იქნეს, რომ "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

5. მეხუთე საკითხი:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);
6. მეექვსე საკითხი:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობა);

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე და მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თინათინ გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა შეფასდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით. ექსპერტთა ძირითადი ყურადღება იყო ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენაზე. მასობრივი კომუნიკაციის პროგრამაზე სამივე სტანდარტი შეფასებულია, როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან. რეკომენდაცია გაცემული არ არის, გაიცა მხოლოდ 3 რჩევა. ხოლო ჟურნალისტიკის პროგრამაზე პირველი სტანდარტი შეფასებულია როგორც მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო მეორე და მეოთხე - სრულ შესაბამისობაში. გაიცა ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამაში კონკრეტული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შერჩევას. რადგან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკვეთებოდა აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ლელი ბიბილაშვილმა აღნიშნა, რომ ჟურნალისტიკის პროგრამაზე იყო მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგებს, კურიკულუმის რუკას და ა.შ. დაწესებულებამ გააგზავნა კურიკულუმის რუკა დონეებად განსაზღვრული და დაწესებულებაში ეს პროგრამა არის დიგიტალიზებულად.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტანდარტზე უფრო მაღალი დონით ხორციელდება ეს საკითხი დაწესებულებაში.
თითნათინ გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი იყო დანართები, თუმცა ამ დანართებში არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, მას აინტერესებდა თუ რა იგულისხმებოდა მეტ მტკიცებულებებში, რადგან ფორმა ზუსტია.
თინათინ გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ წარმოების პროცესში იყო გარკვეული საკითხები, რაზეც სრულყოფილი პასუხის გაცემის შესაძლებლკობა არ ჰქონდათ ექსოერტებს. ფორმატიდან გამომდინარე დაწესებულების დადანაშაულებაც არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან თავად ფორმა არ ითვალისწინებდა ინფორმაციის წარმოდგენას. აქედან გამომდინარე ეს ჩანაწერი რჩევის სახით ფორმირდა და არა რეკომენდაციის.
ციური დურულს, ასევე, აინტერესებდა გამოთხოვილი დოკუმენტაცია რატომ არ გაითვალისწინა დაწესებულებამ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადგან ფორმაში მოცემულია კურიკულუმის რუკა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენისას ინსტიტუციამ წარმოადგინა კურიკულუმის ის რუკა, რომელზეც მითითებული იყო განმტკიცება, გაღრმავება სწავლის შედეგის მიღწევის დონეები, თუმცა ეს იყო წარმოდგენილი უკვე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რუკა გამოგზავნილი იყო აღნიშნული ფორმით (შედეგი-საგანი), მაგრამ შემდეგ ინსტიტუცია მიხვდა, რომ სხვაგვარი მოთხოვნები ჰქონდათ ექსპერტებს და დაამატა შესაბამისი დოკუმენტაცია. რაც შეეხება სამიზნე ნიშნულებს, თუ ის სხვა პროგრამაში ნახეს ექსპერტებმა, აქაც ნახავდნენ.
მზია წიკლაურმა დაწესებულებას მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა რა იყო გამოცდების ფორმატში განსაკუთრებული, რომელიც სხვაგან არ ხდება, რადგან კომპიუტერთან გამოცდების ფორმატი დანერგილია სხვა უნივერსიტეტებშიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორიგინალურია მთლიანად შეფასების ფორმატი, გამოცდას პლუს დიგიტალიზებული მექანიზმი, თავისი ფინალური გამოცდების საკითხის დალინკვის პროცესით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:37
დასრულების დრო: 16:42

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის ‘’ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის ‘’ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ ‘’ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

7. მეშვიდე საკითხი:
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ნინო გელოვანმა აღნიშნა, რომ სილაბუსი ყოველმხრივ უნდა იყოს მოწესრიგებული, არ აქვს მნიშვნელობა საბაკალავრო საფეხურს ეხება იგი, თუ სამაგისტროს. მაშასადამე, საჭიროა გვერდების მითითება. ასევე, ბათუმის უნივერსიტეტს არ გააჩნია მდიდარი წიგნთსაცავი, ამიტომ სილაბუსში შემოტანილი აქვთ ძველი ლიტერატურა, რომელიც არ იცვლება. ასევე, კარგი იქნებოდა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა ხელოვნების ისტორიასთან და მის მომიჯნავე დარგებთან შემეცნებისა და არა მხოლოდ კინოს ისტორიისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
ინგა ხალვაშმა აღნიშნა, რომ 2023 წელს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. პროგრამამ მიიღო 4 რეკომენდაცია, რომელიც უნდა გაეთვალისწინებინა დაწესებულებას და ერთი წლის თავზე გაეგზავნა ანგარიში. ხაზი გაესვა იმა, რომ ეს რეკომენდაციები დაწესებულებამ შეასრულა. არ გაითვალისწინეს მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელშიც რეკომენდირებულია, რომ დაწესებულებამ ყურადღება უნდა მიაქციოს უცხო ენის დონეს, რათა სტუდენტებმა შეძლონ თავიანთი ფილმების სხვა ქვეყნებში ან საერთაშორისო ფესტივალზე წარმოდგენა და რეკომენდაცია გულისხმობდა ინგლისური ენის დონის აწევას. რაზეც აღინიშნა, რომ დაწესებულებამ შესაბამისი ნაბიჯები განახორციელა. მისაღები გამოცდების დროს უნივერსიტეტმა პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაუშვა ინგლისური ენის B1 დონე და გარდა ამისა, სწავლების პერიოდში შეიმუშავა ზედა დონეები, სპეციალიზირებული ინგლისური ენის სწავლებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დამატებითი მოსაზრებები არ გამოთქმულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:02
დასრულების დრო: 17:07
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სს იპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 2 სექტემბერს 17:17 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე